პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 148 (9616) | ხუთშაბათი, 25 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება).

ახალი სახელმწიფო სესხი გამოდის სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახელმწიფო სესხი

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

ახალი სახელმწიფო სესხი გამოშვებულია სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით. ეს სახსრები გამოყენებული იქნება ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული ცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების ახალი აღმავლობისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი წარმატებით მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზით. მაღალი ტემპით ვითარდება ჩვენი ქვეყნის მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, სულ უფრო ფართოვდება სამრეწველო და საბინაო მშენებლობა. სახალხო მეურნეობის აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ დიდდება ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი, მაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. საბჭოთა მთავრობამ ომისშემდგომ უკვე მეექვსეჯერ შეამცირა ფასები სასურსათო და სამრეწველო საქონელზე. ამან მოსახლეობას მილიარდობით მანეთის მოგება მისცა. ყოველწლიურად სულ უფრო დიდდება ასიგნობანი მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის, ქალაქების, სოფლებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის.

ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელი ზრდა უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას, რაც შესაძლებლობას იძლევა ყოველწლიურად გაზრდილ იქნას სახსრები მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების ამაღლებისათვის და ამავე დროს განხორციელებულ იქნას სახალხო მეურნეობაში მსხვილი კაპიტალური დაბანდებანი.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის გამოხატულებაა ისიც, რომ განუწყვეტლივ დიდდება მასობრივი მოთხოვნილების საქონლის წარმოება და ვაჭრობა. გასულ წელს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მიერ მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა გაიზარდა 10 პროცენტით 1951 წელთან შედარებით.

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულია სპეციალური ზომები სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მოსახლეობისათვის მისაყიდად თავდაპირველად დამტკიცებული გეგმის ზეით. მრეწველობის ისეთი დარგების მიმართ, რომლებიც უშვებენ მასობრივი მოთხოვნილების საგნებს, უპირველეს ყოვლისა, მსუბუქი და კვების, აღგილობრივი მრეწველობისა და კოოპერაციულ საწარმოთა მიმართ დასახულია დამატებითი ამოცანები სხვადასხვა ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის საქონლის წარმოების გასაღიდებლად. ამაში ერთხელ კიდევ ნათლად ჩანს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანისა და მისი მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობისათვის.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით უდიდესი ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამ უდიდესი ამოცანების განხორციელება დიდ სახსრებს მოითხოვს. საბჭოთა სახელმწიფოს ხარჯების დაფინანსების ძირითადი წყაროა თვით სოციალისტური მეურნეობის სახსრები — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემოსავალი. ეს შეადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის 80-ზე მეტ პროცენტს. ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვან დამატებით წყაროს წარმოადგენს აგრეთვე მოსახლეობის სახსრები, რომლებიც სახელმწიფო სესხების გაფრცელების გზით შემოდის.

მიმდინარე წელს სახელმწიფო სესხი გამოშვებულია თხუთმეტი მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს ორჯერ უფრო ნაკლებია გასულ წელს გამოშვებულ სესხზე. ახალი სახელმწიფო სესხის ოდენობის შემცირება შედეგია იმისა, რომ განუხრელად იზრდება სოციალისტური მეურნეობის ფულადი სახსრების დაგროვება, რაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენს.

ახალი სესხი, რომელსაც საბჭოთა ადამიანები მისცემენ სახელმწიფოს, ახალი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურულ საჭიროებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების საქმეში.

მაშინ, როცა საბჭოთა სესხები მშრომელთა კეთილდღეობის ახალი აღმავლობის მიზანს, მშვიდობის დაცვის მიზანს ისახავენ, კაპიტალისტური სესხები მომართულია ახალი აგრესიული ომების მომზადებისაკენ, ადამიანის მასობრივი მოსპობის იარაღისა და საშუალებების დამზადებისაკენ. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ასიგნობანი 80 პროცენტს აღემატება. ყოველწლიურად დიდდება სამხედრო ხარჯები ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში. ყოველივე ეს, ცხადია, კიდევ უფრო მეტად აუარესებს მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობას, მინიმუმამდე დაჰყავს მათი რეალური ხელფასი.

მაშინ, როცა საბჭოთა სესხები ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების უზრუნველყოფის ერთ-ერთი წყაროა, კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო სესხები ექსპლოატატორული კლასების გამდიდრებას ემსახურებიან და იწვევენ მოსახლეობის საგადასახადო დაბეგვრის შემდგომ ზრდას, მშრომელთა კიდევ უფრო გაღატაკებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება) საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის სესხია. ამიტომ მის გამოშვებას ყველგან, ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყოველ მხარეში, საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ პატრიოტული სულისკვეთებით, თავიანთი დიადი ქვეყნისათვის სიამაყის მაღალი გრძნობებით.

გუშინ, რადიოთი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გადმოცემისთანავე, ახალ სესხზე ხელმოწერა წარმატებით დაიწყო. მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები სოციალისტური სამშობლოსადმი თავიანთი მოვალეობის შეგნებით აწერენ ახალ სესხზე ხელს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა ფართო მასობრივ-საagიტაციო მუშაობით უზრუნველყონ ახალ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერაში თვითეული მშრომელის მონაწილეობა.

ეჭვი არ არის, საბჭოთა საქართველოს მშრომელები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სახელმწიფო სესხზე და ამით თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საბჭოთა ქვეყნის — მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება) 15 მილიარდი მანეთი თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებისა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვებისა.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
მიერ 1953 წლის 24 ივნისს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება) გამოშვებულია ვადით 1953 წლის 1 ოქტომბრიდან 1973 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად. სესხის გავრცელების წესს აგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად — ასი ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 140001-დან № 160000-მდე.

თვითეული სერიის ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200-მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (1/2, 1/4, 1/10).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

მოგებათა საერთო თანხა საშუალოდ სესხის ოცი წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 3 პროცენტის ანგარიშით.

სესხის ოცი წლის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთის) ჩათვლით.

6. სესხის ოცი წლის ვადაში გაიმართება მოგებათა 40 ტირაჟი — ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები გაიმართება, დაწყებული 1954 წლიდან, იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა ტირაჟებში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ ას მილიონ მანეთზე გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

ასმანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	გათამაშებულ მოგებათა რაოდენობა	
	ერთ ტირაჟში	სულ 40-სავე ტირაჟში
10.000 მანეთი	1	40
5.000 მანეთი	10	400
1.000 მანეთი	50	2.000
500 მანეთი	500	20.000
200 მანეთი	8.189	327.560
მოგებათა საერთო რაოდენობა	8.750	350.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	1.997.800	79.912.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1958 წლის 1 ოქტომბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1958-1963 წლებში — 1.000.000 მანეთი, 1964-1968 წლებში — 1.900.000 მანეთი, 1969-1973 წლებში — 9.900.000 მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას 1958-1972 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით. დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულა, გამოიყიდება 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარდგენილ იქნას გასანაღდებლად 1974 წლის 1 ოქტომბრამდე; გასანაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ამ ვადის გასვლის შემდეგ კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი

კომბაინერ ღაზარიანშვილის წარმატება

სილნაღი. რაიონში მკა მასობრივად გაჩაღდა. უკვე აღებულია 2.200 ჰექტარი ხორბალი, — თქვა საქართველოს კომპარტიის სილნაღის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ი. მესხიშვილმა. ალაზნის მტს-ის ცნობილი კომბაინერი მიხეილ ლაზარიაშვილი სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში მუშაობს. იგი დღეში მკის 25 ჰექტარს და დღიურ ნორმას 250 პროცენტით ასრულებს.

ამხ. ლაზარიაშვილი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ქარელის რაიონის რუისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერ ი. ტიტვინიძესთან და ნაკისრი აქვს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ამ სეზონში პურეული აიღოს 650 ჰექტარზე.

შეჯიბრებაში დაწინაურდა აგრეთვე წნორის მტს-ის კომბაინერი გ. გურაშვილი, რომელმაც სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში მომკა 140 ჰექტარზე მეტი. დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ კომბაინერები გ. ასანიშვილი და ვ. ტალიაშვილი.

მოწინავე კოლმეურნეობები იბრძვიან პურეულის უდანაკარგოდ აღებისათვის. მომკელებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან თავთავების ამკრეფთა სპეციალური ბრიგადები. ეს სამუშაო კარგად მოაწყო სოფელ საქობოს კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. კათაშვილი ხელმძღვანელობს. აქ თავთავის აკრეფაზე 30 კაცი მუშაობს. აკრეფილი თავთავებიდან უკვე გალეწილია 1.000 კილოგრამი მარცვლეული.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გაჩაღდა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. მკის ტემპი ყოველდღიურად მატულობს. სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, კოლმეურნეები და სპეციალისტები ხელიხელჩაკიდებულნი შრომობენ, რომ ბარაქიანი მოსავალი სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ.

გუშინ, 24 ივნისს, ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ზოგიერთი რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს და სთხოვა მათ მოეთხროთ, თუ როგორ მიმდინარეობს მოსავლის აღება, კომბაინერთა შეჯიბრება, რა გვიჩვენა მკის პირველმა დღეებმა.

ქვემოთ ვბეჭდავთ მათ ნაამბობს.

მექანიზატორების სიტყვა და საქმე

ყვარელი. მექანიზატორები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ უფრო მაღალნაყოფიერად მუშაობენ, — გვიამბო საქართველოს კომპარტიის ყვარელის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ავთაზაშვილმა. ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა ვ. დაქიურიძემ ორ დღეში 23 ჰექტარი მომკა და თვითეულ ჰექტარზე მიიღო 20 ცენტნერი ხორბალი, ხოლო 7 ჰექტარი ქერის თვითეულ ჰექტარზე — 28 ცენტნერი.

შეუფერხებლად მუშაობს კომბაინერი პ. ცუკოშვილი, რომელმაც სოფელ გავაზის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში სამ საათში აიღო 5 ჰექტარი და ჰექტარზე გალეწა 19 ცენტნერი ხორბალი. სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალს იღებს კომბაინერი ა. ქელეხსაშვილი, რომელმაც პირველ დღეს მომკა 10 ჰექტარი. იგი იბრძვის ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად — 540 ჰექტარის აღებისათვის. კოლმეურნეობაში კომბაინის ოთხი აგრეგატი მუშაობს. აქ მოეწყო რადიო. კომბაინერები და კოლმეურნეები ყოველდღიურად მინდვრად ისმენენ ახალ ამბებს.

სააგიტაციო მუშაობა კარგად არის გაშლილი შილდის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. აგიტატორი ეთერ გიგიტაშვილი სისტემატურად აცნობს მინდვრად მომუშავეებს ახალ ამბებს, ესაუბრება კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა მაჩვენებლებზე.

სახელმწიფოსათვის პირველი განალეწი მარცვლეულის ჩაბარება დაიწყო ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ. მან პირველ დღეს ჩაბარა ორ ტონამდე მარცვლეული. ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების პირველ დღეებში ნაკლოვანებანიც იყო. ყურადღება არ ექცეოდა თავთავების აკრეფას, რამაც დანაკარგი გამოიწვია. სოფელ წიწყანაანთსერში ყვარლის მტს-ის კომბაინერი მ. ჩუკოშვილი ნახევარი დღე გაცდა კომბაინის დაზიანების გამო. ასეთ ფაქტებს სხვაგანაც ვხვდებით.

პურეულის აღებას მოვაწყობთ ისე, რომ არ დავკარგოთ არც ერთი თავთავი.

ქერის აღება დაიწყო

ბოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის ქვედა ზონის კოლმეურნეობებში დაიწყო ქერის მკა. თამარისის მტს-ის კომბაინერმა გ. სივსიეაძემ თვითმავალი კომბაინით არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში“ 5 ჰექტარზე აიღო ქერი, კომბაინერმა ო. ბაირამოვმა ქოშაქილისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით 10 ჰექტარი ქერი მომკა.

ღაგოდეხელთა მოწოდების პასუხად

ბურჯაანი. საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა გვაცნობა, რომ სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ჭარაშვილი ხელმძღვანელობს. გურჯაანის მტს-ის კომბაინერმა ს. სიმონიშვილმა პირველი ათეული ჰექტარი მომკა. თვითეულ ჰექტარზე აღებულია 29 ცენტნერი პური.

ასეთი მოსავალი ამ სოფელს ჯერ არ ახსოვს. ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად ს. სიმონიშვილს გადაწყვეტილი აქვს 25 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი 500 ჰექტარზე აიღოს.

უხვ მოსავალს იღებენ სოფელ კარდახახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. აქ შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს ი. ბელიანინი, რომელმაც დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ბ. ნანობაშვილის ბრიგადის ნაკვეთებში 15 ჰექტარზე აიღო მოსავალი. ყოველ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ხორბალი.

სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში კარგად მუშაობს კომბაინერი ვ. ქიტიაშვილი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ კომბაინი „კომუნარითი“ პურის მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 350 ჰექტარზე.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ველისციხელ მექანიზატორთა შორის. მათი პირობაა 20 სამუშაო დღეში მოსავალი აიღონ 3.500 ჰექტარზე. კომბაინერი ს. ქართველიშვილი ეჯიბრება რ. მოსესოვს. მას გადაწყვეტილი აქვს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა 20 სამუშაო დღეში პური მომკას 400 ჰექტარზე.

საბჭოთა მუშის გზა მეცნიერებისაკენ

ლენინგრადი. (საკუსი). როცა ა. ნ. ლებედევი თავისი შემოქმედებითი გზის დასაწყისზე ლაპარაკობს, აუცილებლად იგონებს ლენინგრადის ქარხანა „ზნამია ტრუდას“, სადაც ათ წელზე მეტი ხნის წინათ მბურღავად მუშაობდა. იგი ესწრაფვოდა ცოდნას, სწავლას და ექსტერნად ჩაბარა გამოცდები საშუალო სკოლაში. ათწლედი რომ დამთავრა, ახალგაზრდა მუშა შევიდა ვ. ი. ულიანოვის (ლენინის) სახელობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში ხუთი წლის ყოფნის დროს ლებედევმა ბევრი რამ ისწავლა.

ახლა ყოფილი მბურღავი ავტორია ათზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა, მათ შორის „საანგარიშო-ამომხსნელი ხელსაწყოს გაანგარიშების მეთოდიკისა“, რისთვისაც მას მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ა. ნ. ლებედევი დამტკიცეს დოცენტის წოდებაში და დანიშნეს პენზის ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო და სასწავლო ნაწილში.

მუშა ა. ნ. ლებედევის გზა მეცნიერებისაკენ დამახასიათებელია ბევრისთვის. ასობით მოწინავე ლენინგრადელი მუშა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს დაუსწრებელ ინდუსტრიულ, გემთსაშენ, პოლიტექნიკურ და ქალაქის სხვა ინსტიტუტებში. ბევრი მათგანი იცავს ინჟინრის დიპლომს და ასპირანტურაში შედის. ვ. მ. მოლოტოვის სახელობის საინჟინრო-ეკონომიურ ინსტიტუტში დიდი ავტორიტეტი აქვს ახალგაზრდა მეცნიერს, წარსულში ქარხანა „პრომეტეის“ მოანგარიშეს ა. ა. ტიმოროდიონოვას. მისი ამხანაგები სწავლასა და მეცნიერულ მუშაობაში — ასპირანტი ა. ი. მაშისტოვი, მანქანათმშენებელი ფაკულტეტის დიპლომანტები ა. ი. ნიკოლაევი, ტ. ნ. მასალიტოვი, ვ. მ. ჟდანოვი და სხვები არ წყვეტენ შემოქმედებითს კავშირს ქარხნებთან. ისინი მონაწილეობენ წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების კომპლექსური ბრიგადების მუშაობაში, იმუშავებენ შრომის ორგანიზაციის ახალ მეთოდებს.

წელს ქალაქის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში დასაცავად მომზადებენ 50-ზე მეტ საკანდიდატო დისერტაციას, რომელთა ავტორები არიან ინჟინრები, ახლო წარსულში ლენინგრადის საწარმოთა რიგითი მუშები.

ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად

ბურჯაანი. საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. დავითაშვილმა გვაცნობა, რომ სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ჭარაშვილი ხელმძღვანელობს. გურჯაანის მტს-ის კომბაინერმა ს. სიმონიშვილმა პირველი ათეული ჰექტარი მომკა. თვითეულ ჰექტარზე აღებულია 29 ცენტნერი პური.

ასეთი მოსავალი ამ სოფელს ჯერ არ ახსოვს. ლაგოდეხელთა მოწოდების პასუხად ს. სიმონიშვილს გადაწყვეტილი აქვს 25 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით მოსავალი 500 ჰექტარზე აიღოს.

უხვ მოსავალს იღებენ სოფელ კარდახახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. აქ შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს ი. ბელიანინი, რომელმაც დღეში „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ბ. ნანობაშვილის ბრიგადის ნაკვეთებში 15 ჰექტარზე აიღო მოსავალი. ყოველ ჰექტარზე მიღებულია 20 ცენტნერი ხორბალი.

სოფელ კოლაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ყანებში კარგად მუშაობს კომბაინერი ვ. ქიტიაშვილი. იგი იბრძვის იმისათვის, რომ კომბაინი „კომუნარითი“ პურის მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 350 ჰექტარზე.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ველისციხელ მექანიზატორთა შორის. მათი პირობაა 20 სამუშაო დღეში მოსავალი აიღონ 3.500 ჰექტარზე. კომბაინერი ს. ქართველიშვილი ეჯიბრება რ. მოსესოვს. მას გადაწყვეტილი აქვს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა 20 სამუშაო დღეში პური მომკას 400 ჰექტარზე.

მშრომელები ერთსულოვანი კმაყოფილებით შეხვდნენ ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებას

სახალხო კეთილდღეობის სესხი

რადიომ გადმოსცა თუ არა მთავრობის დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ ქარხნის საამქროებში სახელდახელო კრებებზე.

სტახანოველმა ა. მკერვალიშვილმა გამოხატა საქვაბე საამქროს მთელი კოლექტივის აზრი, როცა განაცხადა:

— სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხზე, რადგან ვიცი, რომ ეს სესხი ჩვენსავე კეთილდღეობას მოხმარდება.

ორთქლმავლების ამწყობი საამქროს მუშათა კრება გახსნა საამქროს პარტბიუროს მდივანმა ს. ფირცხალავამ. საამქროს უფროსის მოადგილემ პ. მატუხოვმა დამსწრეთ გააცნო ახალი სესხის მიზნები. მაღალი პატრიოტული გრძნობები გამოამჟღავნეს თავიანთ სიტყვებში საამქროს სტახანოველმა ზეინკალმა ვ. ბურჭულაძემ, უფროსმა ოსტატმა ა. ოგანეზოვმა, სტახანოველმა ზეინკალმა ა. ზადონსკიმ და სტახანოველმა მექვაბემ ი. მაჩაიძემ. ერთსულოვნად მოაწერეს რა მათ ხელი ახალ სესხზე, პირობა დადეს მომავალში კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშაონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით შეხვდა ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებას. ქარხანამ გეგმის გადამეტებით სამშობლოს უკვე მისცა რამდენიმე სამგზავრო ვაგონი, ასობით გოგორწყვილი და 10 ტონა ლითონნამზადი.

კრებების დამთავრების შემდეგ ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოაწერა ხელი ახალ სესხზე.

ჩარხმშენებლების გამოხმაურება

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მიწყნარდა დანადგარების გუგუნი და საამქროებში რეპროდუქტორები ჩართეს. მუშები დიდი ყურადღებით უსმენდნენ რადიოთი გადმოცემულ ცნობას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

დამთავრდა რადიოგადაცემა და დაიწყო საამქროებში მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კრებები, მიძღვნილი ახალი სესხის გამოშვებისადმი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვება, — თქვა პირველ საამქროში შემდგარ კრებაზე ქარხნის მთავარმა ინჟინერმა გ. წეროძემ, — კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას, ხელს შეუწყობს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძლავრ აღმავლობას, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მთავარ ინჟინერს ტრიბუნაზე ცვლის მესამე საამქროს ოსტატი თ. უსანეთაშვილი.

— ახალი სესხი კიდევ ერთი ძლიერი დარტყმაა ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, რომლებიც ყოველგვარ ხრიკებს მიმართავენ, რათა შეაფერხონ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, განხეთქილება და არეულობა შეიტანონ მათს რიგებში. სესხზე ერთსულოვანი ხელის მოწერით ჩაფუშოთ ომის გამჩაღებელთა ვარაუდები.

ასევე მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა კრებებმა ქარხნის სხვა საამქროებში.

ახალ სესხზე ხელმოწერა ჩარხმშენებლებმა წარმატებით დაიწყეს.

ერთსულოვანი დარაზმულობით

კლუბის დარბაზში ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ აბრეშუმის ქსოვის ნოვატორები, მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები.

სიტყვა აიღო თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ე. ღავთაძემ.

— თვითეულ ჩვენგანს, — თქვა მან, — შეგნებული აქვს ახალი სახელმწიფო სესხის უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენი ვალია განვამტკიცოთ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება როგორც მაღალნაყოფიერი შრომით, ისე დანაზოგი თანხების სახელმწიფოსათვის სესხად მიცემით. ახალი სესხის გამოშვებით ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ძლიერებას, უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ოსტატებმა ვ. ლოლაშვილმა, გ. აფინიანმა, ახალგაზრდა მუშა გ. ჭუმბურიძემ.

მიტინგის შემდეგ ფაბრიკის კოლექტივი ერთსულოვნად შეუდგა ახალ სესხზე ხელმოწერას.

ნათელია ჩვენი მიზანი

ჩვენი სამშობლოს ხალხთა ცხოვრების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის საჭიროა სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის მიღწევა, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება. ამ სულისკვეთებით გამსჭვალულნი შეიკრიბნენ 24 ივნისს უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ კრებაზე პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მოსამსახურეები. ახალი სესხის მნიშვნელობის შესახებ სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. დათუკაშვილმა.

ტრიბუნაზეა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ჩხაიძე. მას ცვლიან დოცენტი ვ. ჩანტლაძე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი კ. ფალავა, ახალგაზრდა მუშა ე. გოლინოვა, ფრიადოსანი სტუდენტი ვ. ქარუმიძე. ყველა მათგანის სიტყვა აღსავსეა ჩვენი სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულისა და სიამაყის გრძნობით.

მიტინგის შემდეგ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და მოსამსახურეებმა ერთსულოვნად გააჩაღეს ახალ სესხზე ხელისმოწერა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) ასმანეთიანი ობლიგაციის ნიმუში.

თბილისს ჩამოვიდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების დელეგაცია

23 ივნისს სტალინგრადიდან თბილისს ჩამოვიდა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში სტუმრად არის უცხოეთთან -კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს ლი ფუ-ენი.

დელეგაციის შემადგენლობაშია 42 კაცი:

დელეგაციას შეხვდნენ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ა. გეგეშიძე, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ა. გოგუაძე, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი, ხელოვნების, ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწეები.

ვაგზლის მოედანზე გაიმართა მიტინგი. შეკრებილნი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ დელეგაციის გამოჩენას.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. გოგუაძე. მან ილაპარაკა ჩინელი ხალხის წარმატებებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობაზე.

დიდი ჩინელი ხალხის წარმოგზავნილებს საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა მხურვალე სალამი გადასცა ამხ. გეგეშიძემ.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ლი ფუ-ენმა.

მან გულითადი მადლობა გამოთქვა მეგობრული, გულთბილი მიღებისათვის, თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელებს გადასცა ჩინელი ხალხის ძმური სალამი.

— ჩინელი ხალხის დიდმა ბელადმა, — განაცხადა ლი ფუ-ენმა, — ამხანაგმა მაო ძედუნმა ჩვენს წინაშე დასახა ამოცანა — გავაჩაღოთ ფართო მორბაობა საბჭოთა კავშირის გამოცდილების შესასწავლად ახალი ჩინეთის მშენებლობის ინტერესებისათვის. საბჭოთა ქვეყანაში ჩვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ამ პასუხსაგები ამოცანის განხორციელებას. საბჭოთა ადამიანების მიღწევები და მაგალითი აღაფრთოვანებენ ჩინეთის ხალხებს ახალი ცხოვრებისათვის, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

თბილისში ყოფნის პირველ დღეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია ეწვია უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას, სადაც შეხვდა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ნახა ფერადი დოკუმენტალური ფილმი „საბჭოთა საქართველო“. სტუმრების პატივსაცემად გაიმართა მიღება, რომელსაც დაესწრნენ მსახიობები, მწერლები, მეცნიერები, ქალაქის საწარმოთა სტახანოველები.

დელეგაცია საქართველოში სამ დღეს დარჩება. (საქდესი).

მეცხვარეთა შემოსავალი

ახმეტა. („კომუნისტის“ კორ.). ხუფნას, ველკეთილის, სადუცეს, თიხათას, მრუდგორის და ვეზოს მთებში 50.000 სულზე მეტი ცხვარი ატარებს ზაფხულს. ეს სიმდიდრე ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას ეკუთვნის.

მეცხვარეობის ბრიგადებში ყველაზე მოწინავეა 22-ე ბრიგადა. მას ბრიგადირობის 18 წლის სტაჟის მქონე ალექსანდრე ჯიხოშვილი ხელმძღვანელობს. მწყემსების გ. ზარიძის, გ. ქოქორიშვილის და ა. პაპაშვილის მუყაითი შრომის შედეგად ბრიგადამ წელს 780 სული ნახევრადნაზმატყლიანი ბატკანი გამოზარდა.

მეცხვარეთა შემოსავალი ყოველწლიურად მატულობს. შარშან გამომუშავებულ შრომადღეებზე ალექსანდრე ჯიხოშვილმა მიიღო 702 კილოგრამი ხორცი, 80 კილოგრამი ყველი, ტონანახევარი მარცვლეული, 4.413 მანეთი ფული.

ადამიანები და მათი საქმეები

40 წელი მარჯვე

ს. გვენეტაძე ქვანახშირის სანგრევში.

16 წლისა იყო სილიბისტრო გვენეტაძე, როცა სოფლიდან ტყიბულში ჩამოვიდა და მაღაროში დაიწყო მუშაობა. ეს იყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როცა ტყიბულში შახტების ნაცვლად პრიმიტიულად მოწყობილი მაღაროები იყო. გავიდა წლები... ახალი ცხოვრება დამკვიდრდა ტყიბულში. მძლავრი საბჭოთა ტექნიკა შეიჭრა ქვანახშირის გვირაბებში, მეშახტეს მძიმე შრომაში მექანიზმები შეეშველნენ. მას შემდეგ გაიზარდნენ ახალი ადამიანები, მათ შორის — ახლა სახელოვანი მეშახტე სილიბისტრო გვენეტაძე.

გადიდდა ქვანახშირის ამოღება. გადიდდა, მაგრამ ეს სიტყვა ოდნავაც ვერ გამოხატავს იმ უდიდეს ძვრებს, წინსვლას, რომელსაც მიაღწიეს ქვანახშირის ამოღებაში ტყიბულელმა მეშახტეებმა. აი ერთი შედარება: მარტო ს. გვენეტაძემ მეოთხე ხუთწლედში მოანგრია 73.294 ტონა ქვანახშირი, ე. ი. 6.029 ტონით მეტი, ვიდრე 1913 წელს მთლიანად ტყიბულის ყველა მაღაროში მოანგრიეს.

მეხუთე ხუთწლედიდან ს. გვენეტაძე გამყვანად მუშაობს. 1955 წლის ბოლოსთვის მან უნდა გაიყვანოს შტრეკი 2.420 გრძივ მეტრზე, ფაქტიურად კი მარტო ორ წელიწადსა და 5 თვეში, ე. ი. 1 ივნისისათვის გვენეტაძემ უკვე გაიყვანა 1.824,5 გრძივი მეტრი.

მოფიქრებით, უნარიანად მუშაობს ძველი მეშახტე. შახტში ხანგრძლივი მუშაობით შეძენილი გამოცდილება უადვილებს მას საწარმოო დავალებათა შესრულებას, ახალგაზრდა მეშახტეების აღზრდას.

გამოცდილებამ დაარწმუნა სტახანოველი მეშახტე გვენეტაძე, რომ შტრეკის სწრაფად გაყვანისათვის საჭირო არ არის ერთდროულად ასაფეთქებლად 20-25 შპური, როგორც ამას ბევრი გამყვანი მიმართავს. რიგრიგობით აფეთქების გამოყენებით 12 შპურიც საკმარისია. გვენეტაძე ითვალისწინებს ფენის სიმკვრივეს და სამად ყოფს ერთდროული მონგრევის ხაზს, სამ ჯგუფადვე განალაგებს შპურებს. ამის შემდეგ იწყებს აფეთქებას. პირველად აფეთქებს შუა შპურებს — ამით სწორ მიმართულებას აძლევს სანგრევის ხაზს, მეორედ — შტრეკის ქვედა შპურებს, ხოლო მესამედ — ზედა შპურებს. აფეთქების შემდეგ წერაქვით ასწორებს შტრეკს.

ს. გვენეტაძე კადრების დაუცხრომელი აღმზრდელია. მან მრავალ ახალგაზრდას შეაყვარა მეშახტის პროფესია. ოცდაათამდე მნგრეველი და გამყვანი მოუმზადა მან ტყიბულელ მეშახტეთა სახელოვან ოჯახს. მისი ყოფილი მოწაფეები ნოდარ, ედგარ და ოთარ აბულაძეები ახლა სამთო ტექნიკოსები არიან, ცვლებს ხელმძღვანელობენ. მისი ყოფილი მოწაფე ლავრენტი გოჩელაშვილი ახლა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირია.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა გვენეტაძის შრომა — საბჭოთა მთავრობამ მას ლენინის ორდენი და საპატიო მეშახტის წოდება მიაკუთვნა.

საპატიო მეშახტე სილიბისტრო გვენეტაძე ახლა მეშახტის დღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული და წარმატებით იბრძვის ახალი შრომითი მიღწევების მოსაპოვებლად.

დ. საბელაშვილი.

მინანქრიანი ჭურჭელი

ჩვენს რესპუბლიკაში წინათ მინანქრიანი ჭურჭელი არ მზადდებოდა. მინანქრიანი ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგიის შესასწავლად თბილისიდან კუიბიშევში მივლინებულ იქნა ბრიგადა, რომელშიც შედიოდნენ მუშა პ. ბოჟორიშვილი, ინჟინრები ც. ნინიძე, რ. იაშვილი და ფ. ხუჭუა.

ამჟამად თბილისში უკვე მოწყობილია მინანქრიანი ჭურჭლის ქარხანა, რომელიც ამზადებს სხვადასხვა ზომის ქვაბებს, ჯამებს, ხელიან ჭიქებს. უკანასკნელ ხანებში ქარხანამ აითვისა ხუფიანი ვედროების, აგრეთვე უნაკერავო ქვაბების დამზადება. საგრძნობლად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, ფართოდდება ასორტიმენტი. მომხმარებელი ხალისით ყიდულობს თბილისურ მინანქრიან ჭურჭელს.

ქარხანას ნორმალური მუშაობისათვის სათანადო ბაზა არა აქვს. მას ესაჭიროება საკუთარი სამჭედლო, თერმული და საიარაღო საამქროები. ბევრი ცალკეული დეტალის დამუშავება თბილისის სხვადასხვა ქარხნებში უხდებათ, რაც ხშირად აფერხებს ნორმალურ მუშაობას.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ქარხანას და შეუქმნას მას ყველა პირობა ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სამშობლოს საკეთილდღეოდ

ჯ. ციმაკურიძე,
საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი.

დღეს ქვეყნდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ.

ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ მთავრობის დადგენილების გამოქვეყნებას საბჭოთა ხალხი პატრიოტული შეგნებით შეხვდა. ხალხმა იცის, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეს ღონისძიება ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილების შემდგომი განმტკიცებისაკენ, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

ახალ სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა ყველგან გაჩაღდა მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის აღმავლობის ვითარებაში. სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ თავის უსაზღვრო ერთგულებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, საბჭოთა სამშობლოსადმი, ამყღავნებენ თავის მგზნებარე პატრიოტიზმსა და მზადყოფნას შეუპოვრად იბრძოლონ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიმართულია ჩვენი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის, საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისაკენ.

ცნობილია, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმით სამრეწველო წარმოების დონე ჩვენს ქვეყანაში გაიზრდება დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება უნდა გაიზარდოს დაახლოებით 80 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება—დაახლოებით 65 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ 1955 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1940 წელთან შედარებით ერთისამად გაიზრდება. დიდად იქნება გადიდებული მეტალურგიული მრეწველობის, ნავთობის, ქვანახშირის, მანქანათმშენებელი საწარმოების და მძიმე მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების მიერ პროდუქციის გამოშვება. ამასთან გადიდებულ იქნება ბამბის ქსოვილების, შალეულისა და აბრეშუმის ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის, შაქრის, ხორცის, თევზის, ერბო-კარაქის, კონსერვებისა და სხვა სამომხმარებლო საქონლის გამოშვებაც.

საგრძნობლად გაიზრდება აგრეთვე სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქცია, გადიდდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პიროტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

მეხუთე ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს მშრომელებმა.

ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, მექანიზებული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკას. აღმავლობის გზაზეა ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, დღითიდღე უმჯობესდება საქართველოს მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობა.

მომდინარე წლის პირველი აპრილიდან სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების სათვალავით მეექვსე შემცირებამ შესამჩნევად გაადიდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, საკოლმეურნეო სოფლის გლეხობის შემოსავალი და აამაღლა მანეთის მყიდველობითი უნარი. ფასების ამ მორიგი შემცირების შედეგად ჩვენი სამშობლოს მშრომელები მარტო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით ყოველწლიურად მიიღებენ 46 მილიარდ მანეთ ეკონომიას.

მეხუთე ხუთწლედით დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, ცხადყოფს მთელი მსოფლიოს წინაშე სოციალიზმის უდიადეს სასიცოცხლო ძალას, მეურნეობის სოციალისტური სისტემის დიდსა და აშკარა უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით.

საბჭოთა ეკონომიკის მშვიდობიანი განვითარება უპირისპირდება კაპიტალის ქვეყნების ეკონომიკას, რომელსაც ახასიათებს სახალხო მეურნეობის მილიტარიზაცია, კაპიტალისტებისათვის მაქსიმალური მოგების მიღება, მშრომელი მასების უსასტიკესი ექსპლოატაცია და გაჩანაგება. სამხედრო ხარჯების ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში იწვევს გადასახადების უმაგალითო გადიდებას, პირველი საჭიროების საქონლის გაძვირებას, სახალხო მოხმარების შემცირებას.

1947 წლიდან დაწყებული 1952 წლამდე პურის ფასი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადიდდა 28 პროცენტით, ინგლისში — 90 პროცენტით, საფრანგეთში — ორჯერ და კიდევ მეტად. ხორცი გაძვირდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში 26 პროცენტით, ინგლისში — 35 პროცენტით, ხოლო საფრანგეთში — 88 პროცენტით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითიდღე იზრდება უმუშევრობა. ათობით მილიონი ადამიანი ქუჩაშია გამოყრილი და უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ რჩება. 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში 3 მილიონამდე მთლიანად უმუშევარი და 10 მილიონი ნაწილობრივ უმუშევარი იყო. იტალიაში ირიცხებოდა 2 მილიონი უმუშევარი, დასავლეთ გერმანიაში — თითქმის 3 მილიონი, ხოლო იაპონიაში—10 მილიონამდე.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივების განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული უდიდესი მასშტაბის მშენებლობა დიდ კაპიტალდაბანდებებს, დიდ ხარჯს მოითხოვს. ეს ხარჯი იფარება სოციალისტური სახალხო მეურნეობის განუხრელად მზარდი შემოსავლით. ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის 80 პროცენტზე მეტს სოციალისტურ საწარმოთა შემოსავალი შეადგენს. ჩვენში სახალხო მეურნეობის დაფინანსების ერთ-ერთი დამატებითი წყაროა მოსახლეობის ის სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო იღებს სესხების გავრცელების საშუალებით.

საბჭოთა სახელმწიფო სესხების ხალხურობის, მოსახლეობაში ამ სესხთა პოპულარობის მაჩვენებელია სესხზე ხელმოწერათა სიმრავლე. თუ 1927 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის სესხს ხელი მოაწერა 6 მილიონმა მშრომელმა, 1941 წელს სესხზე ხელმოწერათა რაოდენობამ 60 მილიონს მიაღწია, ხოლო ამჟამად საბჭოთა კავშირში სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მფლობელ მშრომელთა რაოდენობა 70 მილიონს აღემატება. საბჭოთა სახელმწიფო სესხები წარმოადგენენ იმის მკაფიო მაგალითს, თუ რა მოხდენილად არის შეხამებული ჩვენს ქვეყანაში საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები მშრომელთა პირად ინტერესებთან. მრავალი ათეული მილიონი საბჭოთა მოქალაქე ყოველწლიურად იღებს სახელმწიფოსაგან მნიშვნელოვან თანხებს სესხის მოგებათა სახით.

საქართველოში მარტო ომისშემდგომ ხუთწლედში მშრომელებმა სახელმწიფო სესხების მოგებათა სახით მიიღეს 406 მილიონი მანეთი. 1951 წელს მოსახლეობამ მოგებათა სახით მიიღო 111 მილიონი მანეთი, ხოლო 1952 წელს — 142 მილიონი მანეთი. წელს, განვლილი ხუთი თვის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა უკვე 57 მილიონი მანეთი მოგება მიიღეს.

მეხუთე ხუთწლედის მშენებლობათა დასაფინანსებლად მოსახლეობის დანაზოგი სახსრების მოზიდვის მიზნით საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა ახალი სესხი — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება). როგორც წინათ გამოშვებული საბჭოთა სახელმწიფო სესხები, ისე ეს ახალი სესხიც სავსებით მოხმარდება ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანის შესრულებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1953 წლის გამოშვება) გამოშვებულია 20 წლის ვადით, 500, 200, 100, 50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციებით. სესხის შემოსავალი ობლიგაციათა მფლობელს მიეცემათ მოგების სახით, სესხზე ხელმოწერის თანხის წლიური 3 პროცენტის ოდენობით.

სესხზე მოგება დაწესებულია 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთი ყოველი ასმანეთიანი ღირებულების ობლიგაციაზე, ობლიგაციის ღირებულების ჩათვლით. იმ ობლიგაციათა რაოდენობა, რომელთაც მოგება შეხვდებათ, შეადგენს 35 პროცენტს.

1954 წლიდან ყოველწლიურად გაიმართება სესხის მოგებათა ორი ტირაჟი, ხოლო სესხის მთელ ვადაში, ე. ი. 20 წელიწადში — 40 ტირაჟი.

ახალი სესხი მოსახლეობაში ვრცელდება ხელმოწერით. ხელმოწერა მიმდინარეობს საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარეწაო არტელებში, სასოფლო-სამეურნეო ბანკებსა და სხვა ორგანიზაციებში. ყოველ მშრომელს შეუძლია ხელი მოაწეროს ახალ სესხზე ნებისმიერ თანხაზე. საწარმოებს, დაწესებულებებსა და საფინანსო ორგანოებს სასტიკად ეკრძალებათ მუშა-მოსამსახურეებისაგან, სამხედრო მსახურთა და სხვა მშრომელთაგან მიიღონ სესხზე ხელმოწერა ორი კვირის შემოსავალზე მეტი თანხის ოდენობით.

ხელმოწერის თანხის ობლიგაციათა ღირებულების ნაწილ-ნაწილ შესატანად დაწესებულია ათი თვის ვადა. პირველი შესატანი ხელმომწერთ შეაქვთ ივნისის მეორე ნახევრის ხელფასიდან, ხოლო უკანასკნელი შესატანი 1954 წლის აპრილის პირველი ნახევრის ხელფასიდან.

წინა წლებში საქართველოს კოლმეურნეთა უმრავლესობას სესხზე ხელმოწერის თანხა ნაღდად შეჰქონდა. წელსაც ფართოდ უნდა დავუჭიროთ მხარი კოლმეურნეების ინიციატივას მთლიანად ნაღდი ფულით დაფარონ სესხზე ხელმოწერის თანხა.

ახალი სახელმწიფო სესხის გავრცელება უაღრესად მნიშვნელოვანი სახალხო ღონისძიებაა. სესხის წარმატებით გავრცელების უზრუნველყოფა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება სახელმწიფო კრედიტისა და საშემნახველო საქმის ხელშემწყობი კომისიების, სასოფლო საბჭოების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის სისხლხორცეული საქმეა.

ამოცანა ახლა ის არის, რომ მოსახლეობაში ახსნაგანმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლით უზრუნველყოთ ყველა მშრომელის მონაწილეობა ახალი სესხის გავრცელებაში, თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი დამახინჯება ამ საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1953 წლის გამოშვება) წარმატებით გავრცელება საბჭოთა ხალხის მიერ კომუნიზმის მშენებლობის ძლევამოსილი განვითარებისათვის გაღებული მნიშვნელოვანი წვლილი იქნება.

მშრომელთა დანაზოგი თანხები, ის მილიონობით მანეთი, რასაც სახელმწიფო ამ სესხის გავრცელების შედეგად მიიღებს, მთლიანად მოხმარდება ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯის — სსრ კავშირის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ათი მილიონი მანეთი ეკონომია წელიწადში

მოსკოვი. („კომუნისტის“ კორ.). ჯერ კიდევ 1950 წელს ინჟინერ-ტექნოლოგთა და სპეციალისტ ქიმიკოსთა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ ა. თოიძე (ხელმძღვანელი), რუსუდან რეშეტნიკოვა და პ. ბეგალიშვილი, დაიწყო მუშაობა, რათა გამოენახა ჩვენს ქვეყანაში არსებული სურნელოვან-სანელებელი მცენარეები მათგან სანელებლების დასამზადებლად.

ბრიგადამ როგორც ლიტერატურული მონაცემებით, ისე პრაქტიკული მუშაობით დაადგინა, რომ საქართველოში იზრდება 80 სახის სხვადასხვა სურნელოვან-სანელებელი მცენარე.

გასული წლების მანძილზე ბრიგადა გულმოდგინედ ეძებდა ტყის ფლორაში ისეთ სურნელოვან-სანელებელ მცენარეებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა ძეხვეულის ნაწარმის და კონსერვების საგემოვნო თვისებებისა და სუნის გაუმჯობესება. მიღებულია საუკეთესო შედეგები.

შეგროვებულ და გამოცდილ იქნა სხვადასხვა მცენარე, მათ შორის ქინძი, ქონდარი, რეჰანი, ხეპილპილა და სხვ. დადგენილია, რომ ხეპილპილას ახასიათებს მაღალი არომატული და საგემოვნო თვისებები, იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთს.

1951 წლის განმავლობაში მოეწყო ლაბორატორიული ცდები, რის დროს შედგენილ იქნა ძეხვეულის წარმოებაში სპეციების კომპოზიციათა საუკეთესო რეცეპტურა. შემდეგ წარმოებდა ძეხვის საცდელი ნიმუშების დამზადება მოსკოვის № 3 ძეხვეულის ქარხანაში (ცალკეული მოხარშული 1-ლი ხარისხის, ჩაისა მოხარშული მე-2 ხარისხის, უკრაინული ნახევრადშებოლილი 1-ლი ხარისხის, კრაკოვის ნახევრადშებოლილი უმაღლესი ხარისხის და სხვ.) და დეგუსტაცია, რამაც ცხადყო საქართველოში არსებული სურნელოვან-სანელებელი მცენარეებისაგან დამზადებული სპეციების დადებითი შედეგები.

ბრიგადა განაგრძობდა მუშაობას, ეძებდა ახალ მცენარეებს, ადგენდა სპეციების სხვადასხვა კომპოზიციებს. მოეწყო ახალი ცდები, დეგუსტაცია (როგორც თბილისში, ისე მოსკოვში). უკანასკნელი დეგუსტაცია მოხდა ამას წინათ მოსკოვში ხორცის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ „გლავმიასოს“, მოსკოვის ხორცკომბინატის, კვების ინსტიტუტის, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, დედაქალაქის სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სპეციალისტები და წარმომადგენლები.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დასკვნა, რომ ბრიგადის მიერ რეკომენდებული სანელებლები ძეხვეულის ნაწარმის ძირითადი მასის დასამზადებლად (გარდა უმაღლესი ხარისხის მოხარშული ძეხვისა), აგრეთვე კატლეტისათვის სავსებით გამოსაყენებელია და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათს საგემოვნო თვისებებს.

გადაწყვეტილია ხორცის მრეწველობის საქიროების დასაკმაყოფილებლად გაშენდეს ხეპილპილას კულტურის ნარგავები 500-700-მდე ჰექტარზე.

სამეცნიერო საბჭოს დასკვნა დაადასტურა სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ხორცის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ.

ამხ. თოიძის ბრიგადამ მოსკოვის ა. მიქოიანის სახელობის ხორცკომბინატს გადასცა სპეციების კომპოზიცია 60 ტონა ნახევრადშებოლილი ძეხვისათვის და 30.000 კატლეტისათვის, რომლებიც გამოშვებულ იქნება ცდის სახით.

„გლავმიასომ“ და სხვა ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული სანელებლები მოგვცემს დიდ ეკონომიას — 10 მილიონზე მეტ მანეთს წელიწადში. გარდა ამისა, შესაძლებლობას იძლევა გამოშვებულ იქნას დამატებით 800 ტონა ძეხვი.

ბრიგადას დაევალა შემდგომ აწარმოოს მუშაობა ჯავზისა და სხვა ძვირად ღირებული სანელებლების ტოლფასოვანი შემცვლელების გამოსანახავად.

ს. რიჟინაშვილი.



ბათუმი. ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ტბაზე.
ფოტო ვ. ზარიძისა.

შეხვედრა პოეტ ალიო მირცხულავასთან

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სახელმწიფო თეატრში საწარმოთა მოწინავე ადამიანებმა, მასწავლებლებმა, ექიმებმა, კულტურისა და ხელოვნების დარგის და მეცნიერების მუშაკებმა შეხვედრა გაუმართეს პოეტ ალიო მირცხულავას მისი დაბადების 50 და მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ამხ. რ. კომახიძემ. პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სახელმოწოდების მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ა. თევზაძემ. მისალმებებით გამოვიდნენ მწერალი ა. ლორია, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ბოლქვაძე და სხვ.

პოეტმა ალიო მირცხულავამ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და წაიკითხა თავისი ლექსები.

პრემიერა მუშათა კლუბში

გურჯაანი. („კომუნისტის“ კორ.). რკინიგზის გურჯაანის მუშათა კლუბის დრამატული კოლექტივი სისტემატურად მართავს სალამო-წარმოდგენებს.

დრამატულმა კოლექტივმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა დ. ერისთავის პიესა „სამშობლო“.

უმჯობესდება მეშახვეთა საყოფაცხოვრებო პირობები

ტყიბული. („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულის ქვანახშირის შახტებში შარშან მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამედიცინო და სავაჭრო ქსელი, საექსპლოატაციოდ გადაეცა მრავალი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

მიმდინარე წელს მარტო საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და კეთილმოწყობას მოხმარდება 18.750 ათასი მანეთი. მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე შახტების პროფკავშირული ორგანიზაციები დახარჯავენ 113 ათას მანეთს. წელს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო და შეღავათიანი საგზურები მიეცემა 300-ზე მეტ მეშახტეს. მეშახტეთა 400 ბავშვი ზაფხულს გაატარებს პიონერთა ბანაკებში.

სწავლობენ რუსულ ენას

ახმეტის რაიონულ ბიბლიოთეკასთან ჩამოყალიბდა რუსული ენის შემსწავლელთა წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ელენე ფარეულიძე.

წრეში გაერთიანებულია 25 მსმენელი. ისინი მონდომებით სწავლობენ დიდი რუსი ხალხის ენას.

გავშვთა ტექნიკური სადგური

ჭიათურა. („კომუნისტის“ კორ.). თითქმის 15 წელია, რაც მარგანეცის ქალაქში არსებობს ბავშვთა ტექნიკური სადგური, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ბავშვთა შორის ტექნიკური ცოდნის პროპაგანდისათვის. სადგურის ავიამოდელისტთა წრეში 18 მოსწავლეა. მათ დაამზადეს თვითმფრინავების მოდელები. მაკეტისტთა წრეში მოსწავლეებმა დაამზადეს დიდი სტალინის სახლის მაკეტი.

ელექტროტექნიკურ წრეში 30 ბავშვი მუშაობს. მოსწავლეებმა გააკეთეს ელექტრომაგნიტური ამწე, რომელიც ნორჩ ტექნიკოსთა IV რესპუბლიკურ გამოფენაზე წაიღეს.

ხატვის წრეში ნორჩმა მხატვარმა ო. ცერცვაძემ დახატა სურათი „ჭიათურა“, რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო.

სადგურთან კარგად მუშაობს წიგნების ამკინძავთა, ხელმარჯვეთა და ფოტომოყვარულთა წრეები.

ტაბაწყურის ტბაში თევზჭერა დაიწყო

ბორჯომი. („კომუნისტის“ კორ.). ტაბაწყურის ტბაში თევზჭერა დაიწყო. უკვე დაიჭირეს და სარეალიზაციოდ გადასცეს 13 ტონა თევზი. ბევრია კალმახი.

ტაბაწყურელი მეთევზეები მეორე კვარტალის ბოლომდე სახელმწიფოს კიდევ რაჰაბარებენ 26 ტონა თევზს.

ნოვაგორი მუშებისა და ინჟინრების ლექციები

ხაშურის კვანძის რკინიგზელები მასობრივად ესწრებიან ადგილობრივი ნოვატორი მუშებისა და ინჟინრების ლექციებს. ამას წინათ საელმავლო დეპოს ინჟინერმა ა. ლეჟავამ წაიკითხა ლექცია — „საუკეთესო მემანქანეთა მუშაობის მეთოდები ლოკომოტივების სადღეღამისო გარბენის გადიდებაში“. ლექციის დროს რკინიგზელ მუშათა კლუბის დარბაზი სავსე იყო მსმენელებით.

მასობრივად დაესწრნენ ხაშურელი რკინიგზელები ნოვატორი მემანქანეების — ი. ლაბაძისა და მ. ტყეშელაშვილის ლექციებსაც. მათ მსმენელებს მოუთხრეს, თუ როგორ დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები სურამის საუღელტეხილო უბანზე და შეკითხვებზე პასუხის გაცემისას დაწვრილებით ილაპარაკეს თავიანთ გამოცდილებაზე.

საინტერესო ლექცია წაუკითხა ხაშურელი რკინიგზელებით სავსე აუდიტორიას კონდუქტორთა რეზერვის უფროსმა ა. ქელეხსაშვილმა. მისი ლექციის თემა იყო: „მატარებლების უშიშრად მოძრაობის უზრუნველყოფა ავტობლოკირების უბნებზე“.

ისტორიული ნივთები

დუშეთი. (საკ. კორ.). სოფელ მაღაროსკარის სამკითხველოს გამგემ ამხ. ნ. ქისტაურმა დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა ორი საინტერესო ისტორიული ნივთი — ბოლოკვეთილი მახვილი და საომარი ცული.

ნივთები იპოვეს სოფელ კანატის მახლობლად ნანგრევებში კოლმეურნეებმა გ. ბულალაურმა და ჯ. უძილაურმა.

ორივე ნივთი ბრინჯაოს ხანის უკანასკნელ პერიოდს მიეკუთვნება და თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის XI-X საუკუნეებით.

ბრინჯაოს ეს ნივთები მეტად ოსტატურად არის ჩამოსხმული. ბოლოკვეთილ მახვილს აქვს ხვეული ორნამენტები. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის მახვილები, გარდა საქართველოსი, არსად არ არის აღმოჩენილი. საბრძოლო ცულიც მეტად ლამაზი ნაკეთებია.

მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურეული

ულან-ბატორი, 23 ივნისი. (საკდესი). მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში გაჩაღდა ფართო მუშაობა იმისათვის, რომ მოსახლეობას გააცნონ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევები, საბჭოთა მეცნიერება, ლიტერატურა და ხელოვნება. რესპუბლიკის მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ რუსული ენის შესწავლისადმი. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, არატთა საწარმოო გაერთიანებებში, სახელმწიფო მეურნეობებში და მეჯოგეთა ბინებში შეიქმნა საბჭოთა ხალხის მიღწევებისა და რუსული ენის შემსწავლელი წრეები. იზრდება საბჭოთა კავშირთან მონღოლეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წევრთა რიგები. ეს საზოგადოება მონღოლეთში ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა.

სამხრეთ გობის აიმაკის მთელ რიგ რაიონებში მოეწყო საბჭოთა წიგნის გამოფენები. გამოფენებზე ეწყობა ლექციები და საუბრები მონღოლი ხალხის იდეური და კულტურული ზრდისათვის საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელობის შესახებ.

საბჭოთა კავშირთან მონღოლეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ხენთეს საიმაკო საბჭომ არატთა მომთაბარეობის ადგილებში გაგზავნა ორი სააგიტაციო ბრიგადა. ამ ბრიგადების წევრები არატებს უამბობენ სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობაზე, მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლაზე.

კიბჩღუს მიმართვა ინდოელი ხალხისადმი

დელი, 23 ივნისი. (საკდესი). სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორმა კიტჩლუმ ინდოელ ხალხს მიმართა მოწოდებით — 25 ივნისი აღნიშნოს, როგორც კორეაში მშვიდობისათვის ბრძოლის დღე.

„მშვიდობის ყველა მომხრემ, — განაცხადა კიტჩლუმ, — ამ დღეს უნდა მოითხოვოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისადმი აბსოლუტური და საყოველთაო პატივისცემა, კორეელი სამხედრო ტყვეების საკითხის დაუყოვნებლივ მოწესრიგება და დროებითი ზავის ხელმოწერა“.

შეეხო რა კორეელი სამხედრო ტყვეების „განთავისუფლებას“ ლისინმანელთა ბანაკებიდან, კიტჩლუმ განაცხადა, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ მოქმედებისათვის ეკისრება ეგრეთწოდებულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას. „სავსებით ცხადია, — აღნიშნა კიტჩლუმ, — რომ ლი სინ მანის ეს საშიში მოქმედება შეუძლებელი იქნებოდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობას სათანადო ლონისძიებანი რომ მიეღო. ახლაც კი გრძელდება სამხედრო ტყვეთა გარეკა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პაციფისტური განცხადებანი, აგრეთვე დაპირება — დადოს სამხედრო პაქტი და სამხრეთ კორეას დახმარება გაუწიოს — ხელ-ფეხს უხსნიან ლი სინ მანს“.

იტალიელი კომუნისტის განთავისუფლება საპატიმროდან

რომი, 23 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა“ იუწყება, რომ პარტიზანული მოძრაობის თვალსაჩინო მონაწილე კომუნისტი დანტე გორერი 22 ივნისს ქალაქ პადუის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განკარგულებით გაათავისუფლეს საპატიმროდან. იგი ხუთი წლის განმავლობაში იჯდა პადუის საპატიმროში „საქმის“ გარჩევის მოლოდინში, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრეს სულელური ბრალდებით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იძულებული იყო გაეცა განკარგულება დანტე გორერის განთავისუფლების შესახებ, რამდენადაც იგი არჩეულ იქნა პარლამენტის დეპუტატად. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ გორერის შეხვდნენ მშრომელნი, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ პატრიოტს.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 23 ივნისი. (საკდესი). „დამოუკიდებელთა“ წარმომადგენელმა პინემ, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიანდო მთავრობის ჩამოყალიბება, გადადო თავისი პასუხი პრეზიდენტისადმი იმ სიძნელეებთან დაკავშირებით, რომლებსაც იგი წააწყდა კათოლიკეთა პარტიის „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ და — დე გოლის პარტია „ფრანგი ხალხის გაერთიანების“ ყოფილი ჯგუფის „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ პოზიციის გამო.

პინემ უარი თქვა მთავრობის შედგენაზე

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო პარიზიდან იუწყება, დღეს საღამოს პინემ უარყო ვენსან ორიოლის წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ.

საფრანგეთის მთავრობის პროტესტი ლი სინ მანის პროვოკაციის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ივნისი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ლი სინ მანის ხელისუფლებს სამხედრო ტყვეთა განთავისუფლების წინააღმდეგ.

ახლის ნიშნები

წერილი პრაღიდან

პრაღის ქარხანა „მოტორლეტის“ დირექტორის კაბინეტში ინახება აბრეშუმით ამოქარგული იეროგლიფებიანი ნოვატორი დროსა. ეს არის გმირი კორეელი ხალხის საჩუქარი ჩეხოსლოვაკიის მშრომელებისადმი. დამკვიდრებული ტრადიციით დროშა ინახება ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო საწარმოში, რომელმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა.

ქარხანა „მოტორლეტი“ არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული რესპუბლიკის მანქანათმშენებელ საწარმოთა მუშების შრომითს შეჯიბრებაში. შეჯიბრებამ აქ მართლაც ფართო გაქანება მიიღო. იგი მუშების — სოციალიზმის აქტიური მშენებლების აღზრდის მძლავრი საშუალება გახდა.

წლის დასაწყისში ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება აიღო სისტემატურად გადაჭარბებით შეასრულოს საწარმო დავალებანი და გეგმის გადამეტებით მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოუშვას პროდუქცია.

ლითონის ჭრის ჩქარსნული რეჟიმები, გამომგონებლობა და რაციონალიზაცია, წარმოების საბჭოთა ნოვატორების მოწინავე გამოცდილების გამოყენება — ასეთია გზები, რომლებიც ქარხნის კოლექტივი აღწევდა დასახულ მიზანს. საამქროებში მუშებს, ოსტატებსა და ტექნიკოსებს რომ ესაუბრები, რწმუნდები, რომ თვითეული მათგანი იცნობს კოლექტივის კონკრეტულ ვალდებულებებს და ძალების სრული დაძაბვით მუშაობს.

ქარხანა გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით ასრულებს. ადამიანები იბრძვიან სამუშაო დროის მომჭირნეობით გამოყენებისათვის. ზოგიერთ ჩარხზე დეტალების დამუშავება რამდენჯერმეა დაჩქარებული. ყველა უბანზე მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს კომუნისტები იძლევიან.

რუდოლფ მროზეკი — წარჩინებული ნოვატორი და გამომგონებელი, რომელიც ამას წინათ ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს, გვიამბობს:

— საამქროებში ყველა შეჯიბრებაშია ჩაბმული. ეს არის მკაფიო გამოვლინება შრომისადმი ადამიანთა ახალი დამოკიდებულებისა, რომელიც კაპიტალისტურ ჩეხოსლოვაკიაში წარმოუდგენელი იყო. იგი ადამიანთა შრომითი საქმიანობის განუყრელი ნაწილი გახდა. იმის შეგნება, რომ ისინი საკუთარი თავისათვის, თავიანთი სახელმწიფოსათვის მუშაობენ, უწყობს მათ ხელს იმაში, რომ შრომითი გმირობა ჩაიდინონ, შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინონ.

— მოწინავე მუშების თვითეული რეკორდი მოწმობს შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალ შესაძლებლობებს, — განაგრძობს პარტკომის მდივანი. — შეჯიბრების მონაწილენი გატაცებული როდი არიან ცალკეული რეკორდებით, რომლებიც, როგორც ცნობილია, ყველაფერი როდია. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ ყველა საამქროს რიტმულ, მაღალნაყოფიერ მუშაობას და მივაცეთ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით რაც შეიძლება მეტი საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. ამ მიზნით ვაუმჯობესებთ წარმოებას, ვეძებთ ახალ გზებს.

ქარხანაში ყველაზე ჩამორჩენილი იყო ის საამქრო, რომელიც მოტორების ყველაზე პასუხსაგებ დეტალებს ამზადებს. ეს საწარმოო პროგრამის შეუსრულებლობის საფრთხე ქმნიდა.

პარტიული კომიტეტის რეკომენდაციით საამქროს უფროსად დაწინაურებულ იქნა კომუნისტი ფრანტიშეკ პოგნანი, თავმდაბალი, დაკვირვებული და ენერგიული ნოვატორი ზეინკალი. კომუნისტებთან და პროფკავშირულ აქტივისტებთან მჭიდრო კონტაქტით იგი უშინარეს ყოველისა შეუდგა შრომის სწორ ორგანიზაციას. მუშებს შორის მალე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ჩაებნენ ახალგაზრდებიც და ხნიერებიც. ახალგაზრდებს შეჭერნდათ თავიანთი ენთუზიაზმი, ხნიერებს — გამოცდილება. ყველას აკავშირებდა ერთი საერთო საქმე: ხალხისადმი, ქვეყნისადმი დიადი სამსახური.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩამორჩენილი მუშებისათვის დახმარების გაწევას, ტექნიკის ათვისებას. მუშაობა დაიწყეს ტექნიკურმა წრეებმა და მოწინავე გამოცდილების სკოლებმა. კადრის მუშებმა თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს არა მარტო საკუთარი უმწიკვლო მუშაობა, არამედ ახალგაზრდა მუშებისათვის თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემაც. თვითეულმა მათგანმა იკისრა შეფობა რამდენიმე ჭაბუკსა და ქალიშვილზე, ეხმარება მათ შრომის უკეთესი ხერხების ათვისებაში.

შეჯიბრების მოწინავეები თავიანთი გამოცდილების პროპაგანდას ეწეოდნენ ტექნიკურ წრეებში, საამქროების შრომის სკოლებში, კითხულობდნენ ლექციებს ქარხნის კლუბში. მათს მისწრაფებაში — ფართოდ გაავრცელონ შრომის მოწინავე ფორმები და საუკეთესო ხერხები, მათს სურვილში — აიყვანონ ჩამორჩენილნი მოწინავეთა დონემდე,—ნათლად იჩინა თავი სახალხო-დემოკრატიული წყობილებით შობილი ახალი მუშის ნიშნებმა.

საქმისადმი ყაირათიანმა მიდგომამ, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, ბოლოს მთელი რიგი ტექნიკური საკითხების გაბედულმა ნოვატორულმა გადაწყვეტამ შესაძლებლობა მისცა საამქროს არა მარტო აღმოეფხვრა ჩამორჩენა, არამედ მოწინავეთა რიგებშიც გამოსულიყო.

მეოთხე საამქროში გაგვაცნეს ოსტატი ო. პლატოში, რომელიც ორმოც წელზე მეტია მუშაობს წარმოებაში. ის მხნე, ენერგიული ადამიანია, ცოცხალი, ჭკვიანი თვალები აქვს. მასთან საუბარში მაშინვე ამჩნევ, რომ იგი დაკვირვებული, მომთხოვნი ორგანიზატორია, რომელსაც ყოველგვარი სამუშაო კარგად გამოუდის.

— ჩვენი რაციონალიზატორი და ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლის ინიციატორი, — ასე გაგვაცნო იგი ქარხნის დირექტორმა იან შტოხლმა.

მუშა ადამიანისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ოსტატმა სცადა თავი აერიდებინა საკუთარ მიღწევებზე ლაპარაკისათვის და საუბარი დაიწყო იმაზე, რომ ქარხანასა და საამქროში არიან ადამიანები, რომლებიც მასზე გაცილებით უკეთ მუშაობენ და რომლებისგანაც ადამიანს მართლაც შეუძლია რამე ისწავლოს.

მაგრამ დირექტორის მიერ მისთვის მიცემული დახასიათება სწორი აღმოჩნდა. როცა პლატოში ჩარხთან დგას, გამოცდილი მუშებიც კი აღტაცებით შეჰყურებენ, თუ რა ტემპებს, გამომგონებლობასა და სიმარჯვეს იჩენს იგი მუშაობაში. მისი წინადადებით საამქრომ ქარხანაში პირველმა დაიწყო საჭრისების დამზადება ძველი, წენდებული დეტალებისა და ინსტრუმენტისაგან. მან წინადადება შეიტანა ჰორიზონტალური საბურღავი ჩარხისათვის ძველი მასალებისაგან დაემზადებინათ ახალი სამაგრი, რომელიც უზრუნველყოფს მუშაობის სიზუსტეს და სხვა უპირატესობებიც აქვს.

მის მაგალითს მიბაძეს სხვა მუშებმა, მთელმა ბრიგადებმა. დაზოგილი მასალით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დამზადებულ იქნა მოტორების დეტალები, რომელთა ღირებულება მეოთხედ მილიონ კრონს აღემატება. მასალებისა და სახლრების ეკონომიისათვის მოძრაობა მთელ ქარხანაში გავრცელდა.

ქარხნის მუშები ცდილობენ გამოავლინონ ახალი რეზერვები, რათა რაც შეიძლება მალე გამოიყენონ. ისინი. თუ ორი წლის წინათ შეჯიბრებაში ჩაბმულთ ძირითადი ყურადღება მიპყრობილი ჰქონდათ გეგმებისა და გამომუშავების ნორმების გადაჭარბებით შესრულებისაკენ რაოდენობის მხრივ, ახლა მუშები საწარმოო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად ერთმანეთს ეჯიბრებიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, მასალებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიისათვის, ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის.

ამაშიც ნათლად იჩენს თავს შრომისადმი ახალი დამოკიდებულების ნიშნები.

ქარხანაში იზრდებიან დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის მქონე, კულტურული, ტექნიკურ ცოდნას დაუფლებული ადამიანები. ძველი, ბურჟუაზიული რეჟიმის დროს აქ არ ყოფილა მუშებიდან გამოსული არცერთი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. უბრალო მუშას ოცნებაც არ შეეძლო უმაღლესი განათლების მიღებაზე. საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ პირველ წლებშიც კი ძველი ინჟინრები უნდობლობით ეკიდებოდნენ მუშების სწავლას.

— მუშები უაღრესად განათლებული სპეციალისტები ვერ გახდებიანო, — ამბობდნენ ისინი.

მაგრამ მუშები ჩინებულად უძღვებიან საწარმოს მართვას, გულმოდგინედ სწავლობენ და უმაღლეს განათლებას იღებენ.

— უახლესი ტექნიკის დაუფლებისადმი მისწრაფება — აი ჩვენი მუშების ყველაზე დამახასიათებელი თვისება, — ამბობს ქარხნის დირექტორი. — სიამაყეს გრძნობ ამ უდიდეს ცვლილებებს რომ ხედავ, რომლებიც ადამიანებში ხდება. ისინი ხარბად ეტანებიან ცოდნას, რადგან ნათლად შეიგნეს, რომ უამისოდ სოციალიზმს ვერ აშენებ.

ქარხანაში გაჩნდა შრომის სკოლები, რომლებიც კვალიფიციურ ოსტატებს ამზადებენ, უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსამზადებელი კურსები, მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო ჯგუფები მრავალი ათეული მუშა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს ინსტიტუტებში, საღამოს სასწავლებლებსა და დაუსწრებელ სასწავლებლებში.

გასული წლის შემოდგომაზე ქარხანამ პრაღის ინსტიტუტებში გაგზავნა 12 მოწინავე მუშა, რომლებიც სწავლისათვის ქარხანაში მოემზადნენ. 32 დამკვრელი გაიგზავნა სასწავლებლად ავიატექნიკუმში, 12 კაცი ამთავრებს უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსამზადებელ კურსებს და შემოდგომაზე სწავლას შეუდგება. წელს განზრახულია ქარხანასთან გაიხსნას საღამოს მანქანათსამშენებლო ტექნიკუმის განყოფილება.

ქარხანაში თითქმის ყველა მუშა სწავლობს. ასეთია სოციალიზმის თვალსაჩინო ნიშნები.

ვესაუბრებით მუშა ვ. ლუცკის, მანქანათსამშენებლო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელ სტუდენტს.

— მალე 30 წლისა გავხდები. მეც ახალგაზრდებს ვაკუთვნებ თავს, — ამბობს იგი ოდნავ დარცხვენით. — თხუთმეტ წელიწადს დაქირავებით ვმუშაობდი მეპატრონესთან. მაშინ რომ მესწავლა, საამისოდ არც შესაძლებლობა მქონდა და არც სახსრები. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო ხელისუფლებამ გამიხსნეს ცოდნის გზა. მეც ხალისით დავჯექი მერხზე, შემდეგ კი ინსტიტუტში შევედი.

მუშები ახლა წიგნს ეტანებიან. ქარხანაში, სადაც წინათ წიგნზე არავის უფიქრნია, ერთბაშად გაჩნდა სამი ბიბლიოთეკა, რომლებშიც ათასობით ტომია. კვირაში ერთხელ აქ მოდის მოძრავი საქალაქო ბიბლიოთეკა. მხატვრული ლიტერატურის საქარხნო ბიბლიოთეკაში 700-ზე მეტი ამონენტია, ტექნიკურ ბიბლიოთეკაში — 200-ზე მეტი. გაცილებით მეტი ამონენტია პარტიული კაბინეტის ბიბლიოთეკაში. ეს ადამიანთა კულტურული ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელია.

გაბედული ოცნების ადამიანებს ხელმძღვანელ სამუშაოზე აწინაურებენ. აი ზოგიერთი დამაჯერებელი ფაქტი: ყველა ოსტატი, საამქროებისა და უბნების უფროსები გუშინდელი მუშები არიან, რომლებსაც მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ და სულ ცოტა ხნის წინათ მიიღეს თეორიული მომზადება. ტექნოლოგთა შორის 70 პროცენტი მუშებია, ხოლო კონტროლიორთა შორის უფრო მეტიც. ნოვატორი ხარატი ვ. ცინგროში თავდაპირველად ოსტატად დაწინაურეს, შემდეგ საამქროს უფროსად. მერმე ქარხანაში წარმოების გამგედ. ამ ცოტა ხნის წინათ კი იგი დიდი ქარხნის დირექტორად დაინიშნა. ნოვატორი მონტიორი უ. ფრანტიშეკი დამტკიცებულია ერთ-ერთი საამქროს უფროსად. ასეთი ადამიანები ქარხანაში ბევრია.

შრომისადმი სიყვარული და მოწინავისადმი, ახლისადმი დაუცხრომელი მისწრაფება — აი რა ახასიათებს დღეს ქარხნის მუშებს. ეს თვისებანი განსახიერებას პოულობენ ნოვატორულ წინადადებათა ფართო ნაკადით. რა საამქროშიც უნდა შეხვიდეთ, აუცილებლად გიამბობენ რაციონალიზატორთა ახალ წინადადებებზე.

შარშან ქარხანაში წარმოებაში დანერგეს 99 ახალი გამოგონება. მაგალითად, პარტკომის ახლანდელი მდივნის ტექნიკოს მროზეკის წინადადებამ შესაძლებელი გახადა საზღვარგარეთიდან აღარ შემოეტანათ დეფიციტური მასალა და მრავალი მილიონი კრონი დაეზოგათ.

მთავარ საამქროში ახალი ტიპის მოტორების უმნიშვნელოვანესი დეტალების დამუშავება სულ ცოტა ხნის წინათ ისეთ ჩარხებზე წარმოებდა, რომლებიც გათვალისწინებული იყო სხვა სახის სამუშაოსათვის. ეს აფერხებდა სხვა დეტალების დამზადებას და უარყოფით გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერებაზე. მაშინ ტექნიკოსმა პეტერ მარკეევიჩმა, რომელიც უკვე მესამეთეული წელიწადია მუშაობს ქარხანაში, წარადგინა ჩარხის მის მიერ შემუშავებული ახალი კონსტრუქცია. თავისი აზრები მან გაუზიარა ინჟინერ გ. დვორჟაკს და რაციონალიზატორ მუშებს კ. პროშაკს, ი. სოუკუპს და ი. ლუკაშს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს მას. ასე შეიქმნა ქარხანაში რაციონალიზატორთა კომპლექსური ბრიგადა. ბრიგადის ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფი აღმოჩნდა კონსტრუირებული ორიგინალური ჩარხი, რომელმაც წარმადობის მხრივ ერთიოთხად გადააჭარბა არსებულ ჩარხს.

— მე ვზრუნავ არა პირადი სახელისთვის, — აუჩქარებლად გვეუბნება მარკეევიჩი, — არამედ ჩემი ქარხნის სახელისათვის, კოლექტივის სახელისათვის. მე მინდა, რომ ყველა მუშა ზედმიწევნით დაეუფლოს ტექნიკას, გამოიჩინოს გამბედაობა და განუწყვეტლივ ზარდოს შრომის ნაყოფიერება, განამტკიცოს სამშობლოს ძლიერება.

სიტყვებით „ჩემი ქარხანა“, „ჩვენი საამქრო“, „ჩვენი პროდუქცია“, რომლებსაც ქარხანაში ყველგან გაიგონებთ, იგრძნობა ადამიანთა ზრუნვა სახელმწიფოს ინტერესებისათვის, მკაფიოდ იჩენს თავს ჩეხოსლოვაკიის მუშათა ახალი თვისებები.

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ქარხანა „მოტორლეტში“. ამ საწარმოს მუშები ცდილობენ მისცენ საყვარელ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი საუკეთესო მოტორები.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე ყველა ფრონტზე არტილერიის სროლა წარმოებდა.

გუშინ ღამით ამერიკის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს ფხენიანსა და სინიეჯუს და ბარბაროსულად დაბომბეს ისინი. მოსახლეობაში ბევრი მსხვერპლია, დანგრეულია 20 მიწური.

ამერიკის ბომბდამშენთა ახალი თავდასხმა ფხენიანზე

ფხენიანი, 23 ივნისი. (საკდესი). 22 ივნისს ღამით ამერიკის ავიაციამ კვლავ ბარბაროსულად დაბომბა ფხენიანი. ქალაქზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა 10-ზე მეტი მძიმე ბომბდამშენი. ფხენიანის აღმოსავლეთ რაიონში მუნსუკონისა და სონჩერონის უბნებს დააყარეს მრავალი ბომბი. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. დანგრეულია მრავალი მიწური.

სინხუას საagენტო ღისინმანელთა ხროვის პროვოკაციების შესახებ

პეკინი, 22 ივნისი. (საკდესი). სინხუას საagენტოს სპეციალურმა კორესპონდენტმა ძიან ნანმა კესონიდან გადმოსცა:

ლი სინ მანის ბანდას კიდევ უფრო გამომწვევად უჭირავს თავი, ცდილობს რა ძალით დააკავოს სამხედრო ტყვეები.

20 ივნისს საღამოს და 21 ივნისს დილას ლი სინ მანის ბანდამ ამერიკელთა წყაროებით კვლავ ძალით გაიძვა 643 ტყვე სანმუდაის ბანაკიდან და სამხედრო ტყვეთა ამერიკულ 3 სხვა ბანაკიდან. 20 ივნისს ღამით ლისინმანელმა ბანდიტებმა სპეციალური რაზმი გაგზავნეს ტანკებითა და სატვირთო მანქანებით სანმუდაის სამხედრო ტყვეთა ბანაკში და იქიდან 400-ზე მეტი ტყვე წაიყვანეს. ბანაკს ამერიკელთა ჯარები იცავდნენ, მაგრამ ისინი მხოლოდ თვალყურს ადევნებდნენ სამხედრო ტყვეთა მანქანებში ჩასხმას და არ ცდილობდნენ საქმეში ჩარეულიყვნენ.

რეიტერის საagენტოს ცნობის თანახმად, ლისინმანელთა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძალით დაკავებული სამხედრო ტყვეები ჩაირიცხებიან სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებში. ასოშიეიტედ პრესის საagენტო იუწყებოდა, რომ სამხედრო ტყვეები, რომლებიც ლისინმანელმა ბანდიტებმა წაიყვანეს 18 ივნისს სანმუდაის ბანაკიდან, უკვე ლისინმანელთა მარიონეტული არმიის კვანჯუს უახლოეს საწვრთნელ ცენტრებში იმყოფებიან.

ოთხი დღის მანძილზე ლისინმანელთა ხროვამ ამერიკელთა თვალწინ გაგზავნა ბანაკებიდან ათეულ ათასობით სამხედრო ტყვე და ჩარიცხა ისინი ლისინმანელთა არმიაში. ამავე დროს სამხრეთ კორეის პოლიციის უფროსმა გენერალმა ვონ იონ დუკმა განაცხადა, რომ სამხრეთ კორეის სამხედრო პოლიცია „არაფერს არ მოერიდება, რომ გაათავისუფლოს“ ჩრდილოეთკორეელი ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც უშუალოდ რეპატრიირებული არ იქნებიან. ისეთი გზით, რომელიც რაც შეიძლება ნაკლებ გაროულებას გამოიწვევს“.

უკანასკნელი ოთხი დღის ამბების მიხედვით, ამერიკელთა მხარე ხელს უწყობს ლისინმანელთა ხროვას.

გაიხსნა ჩინეთის ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის მე-2 ყრილობა

პეკინი, 23 ივნისი. (საკდესი). დღეს პეკინში გაიხსნა ჩინეთის ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის მე-2 ყრილობა. ყრილობას ესწრება ჩინეთის სხვადასხვა რაიონის 553 დელეგატი. ყრილობაზე ჩამოვიდნენ აგრეთვე საკავშირო ალკკ დელეგაცია, ჩინეთის სახალხო მოხალისეთა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, იაპონიის, ინდონეზიის. საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და ავსტრალიის ახალგაზრდობის დელეგაციები.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ყრილობას მიესალმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლიუ შაო-ცი.

ყრილობის მონაწილეებს მიესალმნენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო-რევოლუციური სამხედრო საბჭოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე სიაო ხუა, სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარე ლაი ჟო-იუი, სრულიად ჩინეთის ქალთა დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე დენ ინ-ჩაო, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი სემიჩასტნი, კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირის მდივანი ლი ენი. სემიჩასტნიმ ჩინეთის ახალგაზრდობის ახალ-დემოკრატიული კავშირის მე-2 ყრილობას გადასცა საკავშირო ალკკ დროშა და ყრილობის დელეგატებს — საკავშირო ალკკ ნიშნები.

საერთაშორისო გუსიკალურ ფესტივალზე „პრაღის გაზაფხული“

პრაღა, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საagენტო იუწყება, ღღეს პრაღაში სმეტანას სახელობის დარბაზში გამოვიდა საბჭოთა დირიჟორი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და სტალინური პრემიის ლაურეატი კ. ივანოვი. მას დიდი წარმატება ჰქონდა. კონცერტის მთელი პროგრამა მიეძღვნა დიდი რუსი კომპოზიტორის პ. ი. ჩაიკოვსკის შემოქმედებას. კონცერტი დაიწყო მეექვსე „პათეთიკური“ სიმფონიის შესრულებით.

ღღევანდელ კონცერტზე სოლისტად გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ცნობილი ვიოლონჩელისტი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მიროშ სადლო.

კონცერტის დასასრულს შესრულებულ იქნა პ. ი. ჩაიკოვსკის საზეიმო უვერტიურა „1812 წელი“.

გროტევოლისა და ულბრიხტის გამოსვლა მუშების კრებებზე

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). ღღეს ბერლინის დემოკრატიული სექტორის მთელ რიგ დიდ საწარმოებში გაიმართა მუშათა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი საერთო კრებები. კრებები გაიმართა ტურბინსამშენებლო ქარხანა „ბერგმან ბორზიგში“, კარლ ლიბკნეხტის სახელობის სატრანსფორმატორო ქარხანაში, სტალინის სახელობის ელექტროაპარატის ქარხანასა და სხვა საწარმოებში, მათ შორის იმ საწარმოებში, სადაც 17 ივნისს იყო გაფიცვები.

7 ოქტომბრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშათა კრებაზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვალტერ ულბრიხტი. ვალტერ ულბრიხტმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, უამბო მათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ღონისძიებებზე შრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა, საჭიროა ყური დავუგდოთ მუშების ხმას და განვამტკიცოთ პარტიის კავშირი შრომელ მასებთანო. ვალტერ ულბრიხტმა მოუწოდა დამსწრეთ საერთო ძალღონით დაეჩქარონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება. ვალტერ ულბრიხტის სიტყვა დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი. კამათში გამოვიდა 28 კაცი. თავიანთ გამოსვლებში მუშები მხურვალედ იწონებდნენ მთავრობის ღონისძიებებს და ამასთან აკრიტიკებდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს ხელისუფლების ორგანოების, პროფკავშირული კომიტეტებისა და სხვა დაწესებულებათა მუშაობაში.

კეპენიკის რაიონში სატრანსფორმატორო ქარხანაში სამი ათასი მუშის წინაშე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ოტო გროტევოლმა. თავის გამოსვლაში გროტევოლი შეეხო ბერლინის უკანასკნელ ამბებს, ამხილა დასავლეთბერლინელი პროვოკატორები, რომლებიც პროვოკაციულად აქეზებდნენ მუშებს მონაწილეობა მიეღოთ არეულობაში. მან განუმარტა მუშებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშით.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მუშები გმობენ დასავლეთბერლინელ პროვოკატორთა მოქმედებას და სრულ ნდობას უცხადებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მთავრობას.

კრებები გაიმართა აგრეთვე ქარხანა „სიმენს პლანაში“, სადაც გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი რ. გერნშტადტი, ტურბინსამშენებლო ქარხანა „ბერგმან ბორზიგში“, სადაც სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და დიდი ბერლინის ობერ-ბურგომისტრმა ფრიდრიხ ებერტმა.

ღღეს საღამოს მუშათა ხალხმრავალი კრებები გაიმართა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ქალაქების დიდ საწარმოებში.

ფაშისტური თავდასხმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონულ განყოფილებაზე დასავლეთ ბერლინში

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). ადნ-ის საagენტოს ცნობით, გუშინ საღამოს ფაშისტური ორგანიზაციის „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ და დასავლეთ ბერლინის სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წევრები თავს დაესხნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რაიონულ განყოფილებას ნოიკელნში (ამერიკული სექტორი) და დაარბიეს იგი.

დასავლეთ გერმანიის პროგრესული პრესის გამოხმაურება ბერლინის ამბებზე

ბერლინი, 23 ივნისი (საკდესი). 17 ივნისის ფაშისტურმა პროვოკაციამ ბერლინში დასავლეთ გერმანიის ფართო დემოკრატიული წრეების აღშფოთება გამოიწვია. გაზეთები ამხილებენ დასავლეთგერმანელ და დასავლეთბერლინელ მილიტარისტებსა და რევანშისტებს, როგორც პროვოკაციების ნამდვილ წამომწყებთ, და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ფაშისტ პროვოკატორებს, რომლებიც უცხო სახელმწიფოების ნების შემსრულებლები არიან, — ადენაუერის, ოლენჰაუერის, კაიზერის, რაიტერისა და მათ მსგავსთა ბონის ხროვას.

სტატიაში სათაურით: „მშვიდობის ხელყოფა“ გაზეთი „ფრაიეს ფოლკი“ წერს, რომ როგორც ბერლინში, ისე კორეაში ერთსა და იმავე დროს მოხდა ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი მარიონეტების — ადენაუერისა და ლი სინ მანის მიერ პროვოკაციულად გამოწვეული „მშვიდობის ხელყოფა“. ორივე პროვოკაციის მიზნია ოთხმხრივი მოლაპარაკების ჩაფუშვა. შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ ბონის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლერმა არ დაიყოვნა ბერლინის პროვოკაციაა გამოეყენებინა სასაზღვრო პოლიციის 20 ათას კაცამდე გადიდებისათვის.

სტატიაში: „ისტორიის გაფრთხილებაა არ გავიმეოროთ 1941 წლის 22 ივნისის ამბები“ გაზეთი „დი ვარპატი“ მოგონებს მკითხველებს 1941 წლის ამბებს, რომლებსაც მოჰყვა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩამოთვლის რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ყველა ღონისძიებს, რომელთა მიზანია გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა, ეს გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბონელ პროვოკატორებს შავი ჭირივით ეშინიათ გერმანელებს შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნისა და გერმანიის ერთიანობის მიღწევისა, რადგან „ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის შექმნა მოასწავებს მათი ბატონობის დასასრულს“. ამიტომ მათ პროვოკაციულად გამოიწვიეს ფაშისტური გამოხდომა ბერლინში, რათა გაეჭარწყლებინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ცდა და ჩაეფუშათ სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივა.

დიუსელდორფიდან მიღებულ ცნობაში გაზეთი „ფრაიეს ფოლკი“ იუწყება, რომ ამ ქალაქის საწარმოებში ბერლინში აღშფოთებას გამოთქვამენ ბერლინის მოსახლეობის მიმართ ბანდიტური პროვოკაციების გამო, რომლებიც მოიწყეს ბანდიტებმა ფაშისტური „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირიდან“. მუშები მიესალმებიან საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებას და მოითხოვენ ბოლო მოეღოს „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის“ ფაშისტ ვაებატონთა თარეშს, როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ისე დასავლეთ გერმანიაშიც. მუშები აცხადებენ, რომ ფაშისტური „გერმანელი ახალგაზრდობის კავშირი“ დაუყოვნებლივ უნდა აიკრძალოს, ხოლო დასავლეთ გერმანიის საპატიმროებში გამომწყვდეული პატრიოტები დაუყოვნებლივ განთავისუფლებულ იქნან.

როგორც გაზეთი წერს, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ფაშისტურ პროვოკაციებს უპასუხებს იმით, რომ აძლიერებს ბრძოლას გერმანიის ერთიანობისა და გერმანელთა ურთიერთგაგებისათვის. მაგალითად, მაინის ფრანკფურტში გაიმართა 3-ათასიანი საპროტესტო მიტინგი ბერლინის პროვოკაციების წინააღმდეგ. მანჰაიმში წინასაარჩევნო მიტინგზე 2 ათასმა დამსწრემ მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს დანაშაულებრივ პროვოკაციას ბერლინში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა გმობს ფაშისტ პროვოკატორებს

ბერლინი, 22 ივნისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები გადაკრით გმობენ ფაშისტურ პროვოკაციებს, რომლებიც იმპერიალისტმა აგენტებმა მოაწყეს, და სრულ ნდობას უცხადებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოსახლეობის უფროსად სხვადასხვა ფენებისაგან კვლავ მოდის მშრომელთა წერილები, რეზოლუციები და განცხადებანი, რომლებითაც ისინი პირობას დებენ, რომ მხარს დაუჭერენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გერმანელთა შეთანხმების მიღწევა, როგორც გერმანიის ერთიანობის აღდგენის დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარისა.

ფაშისტური პროვოკაციების მკვეთრად დაგმობის ნიშნით ჩაიარა საქსონიის დემიც-ტუმიცის გრანტიტის ქარხნის მშრომელთა კოლექტივის კრებამ. „ჩვენ, გრანიტის ქარხნის მუშები, — ნათქვამია კრებაზე ერთსულოვნად მიღებულ განცხადებაში, — მტკიცედ ვუჭერთ მხარს ჩვენს მთავრობას... ფაშისტი პროვოკატორები და მათი ხელშემწყობნი ცდილობდნენ დანაშაულებრივი გამოსვლებით ხელი შეეშალათ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელებს შორის შეთანხმების მიღწევისათვის და ამით დაებრკოლებინათ ჩვენი სამშობლოს გაერთიანება.

ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი საწარმოების ყველა პატრიოტულად განწყობილ და მშვიდობისმოყვარე მშრომელს:

„ამხილეთ პროვოკატორები... უფრო მჭიდროდ დაიარაზმეთ პარტიისა და მთავრობის გარშემო. დაიცავით მშვიდობიანი მშენებლობის დარგში მოპოვებული ჩვენი წარმატებანი“.

ბრანდენბურგის ფოლადმდნობელებმა და მგლინავებმა ყველა მშრომელს მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭირონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენის საქმეში და დახმარება გაუწიონ მთავრობას ფაშისტი პროვოკატორების შეპყრობაში.

„ხელი შეუშალეთ პროვოკატორთა ყოველგვარ ცდას — შეგვიქმნან დაბრკოლებანი, რადგან პროვოკატორები ჩვენი მტრები არიან“, — ნათქვამია მათს მიმართვაში.

კოტბუსიდან მიღებული ცნობით, ზენფენბერგის აუზის მურა ქვანახშირის საწარმო „ზედლიცის“ მაღაროელებმა, სრული ნდობა გამოუცხადეს რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და დაგმეს რა ფაშისტური პროვოკაციები, პირობა დადეს ახალი საწარმოო წარმატებებით განამტკიცონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ისინი მუდამ გადაჭარბებით ასრულებენ შრომის ნორმებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თემების დიდი უმრავლესობის მშრომელი გლეხობა მრავალ წერილსა და მიმართვაში აგრეთვე აცხადებს, რომ დიდად კმაყოფილია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებით და სრულ ნდობას უცხადებს მას. ჰერცბერგის (კოტბუსის ოლქი) რაიონის გლეხთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მკვეთრად გმობს პროვოკატორებს, რომლებმაც ბერლინში არეულობა მოახდინეს, და მოითხოვს მათს მკაცრად დასჯას.

ამერიკელ ოფიცერთა მონაწილეობა ბერლინში მოწყობილ ფაშისტურ პროვოკაციაში

ბერლინი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც ღღეს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ იუწყება, 17 ივნისს ბერლინის საბჭოთა სექტორში შეშჩნეული იყო ავტომობილთა არაჩვეულებრივად დიდი რაოდენობა, რომლებშიც ამერიკელი ოფიცრები ისხდნენ. გაზეთი წერს, რომ ქალაქის საბჭოთა სექტორის ცენტრში მდებარე ბევრ ქუჩაში და მოედანზე ჩნდებოდა ამერიკის მსუბუქი ავტომობილი № 86 2318, რომელშიც ორი ამერიკელი ოფიცერი იჯდა. ისინი მოუწოდებდნენ დემონსტრანტებს ჩაედინათ ძალადობისა და დივერსიის აქტები, აგრეთვე გადასულიყვნენ დასავლეთ ბერლინში. აღლერსჰოფის რაიონში ავტომობილს № კვ 027192 უშუალო კავშირი ჰქონდა დემონსტრანტთა ჯგუფებთან. ავტომობილში მჯდომ მგზავრთა შორის იყო ამერიკელი ოფიცერი.

სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები

22 ივნისს სუხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ი. მოსაშვილის პატრიოტული დრამა „ჩაძირული ქვები“, 23 ივნისს — რუსული კლასიკური დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო პიესა ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“.

გუშინ თეატრმა აჩვენა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის კ. მიუფკეს პიესა „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება“.

სპექტაკლი დადგმულია ახალგაზრდა რეჟისორის გ. ვასაძის მიერ. გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მხატვარ ნ. ყაზბეგს, მუსიკა — კომპოზიტორ ო. თევდორაძეს. ეს პიესა ქართულ ენაზე თბილისში პირველად იქნა წარმოდგენილი.

მთავარ როლებში მონაწილეობდნენ: ზ. ლაფერაძე (ვილლი სვარცი), თ. ოქროპირიძე (ხანა სვარცი), ნ. მიქაშავიძე (ჰაკო), ტ. ხორავა (ბოძღვარი კოტონი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. ზაქარიაძე (სემი), ქ. დოლიძე (ფიეტა), მ. გვალია (გერტ ვილერი), ს. ყანჩელი (სარი ვილერი).

სამივე სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

საქართველოს გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა უძლიერესთა ასპარეზობა მძლეოსნობაში საქართველოს 1953 წლის გუნდურ პირველობაზე.

შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწია გ. პავლოვამ, რომელმაც გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. გ. პავლოვა გადახტა ერთ მეტრსა და 55 სანტიმეტრზე. გ. ლეკვაძემ თარჯრბენში ვაჟთათვის 110 მეტრზე გაიმეორა საქართველოს რეკორდი. ეს მანძილი მან გაირბინა 15,3 წამში.

აპარის გუნდის წარმომდგენელმა ფილიევმა 400 მეტრი გაირბინა 55,7 წამში და 15-16 წლის ჭაბუკთათვის ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ე. გოკელმა 80 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა დრო — 11,4 წამი, ი. ვალაბუევმა 1.500 მეტრი დაფარა 4 წუთში და 4,8 წამში, სპორტის ოსტატმა ლ. სანაძემ 200 მეტრი გაირბინა 21,8 წამში.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ამანთრბენა ქალთა და ვაჟთათვის 4×100 მეტრზე. გაიმარჯვეს თბილისელმა მძლეოსნებმა. ქალთა გუნდმა აღნიშნული მანძილი გაირბინა 52 წამში, ვაჟთა გუნდმა — 44,3 წამში.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის მძლეოსანთა კოლექტივმა, რომელსაც გადაეცა გარდამავალი ჯილდო და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს დიპლომი. მეორე ადგილზე გამოვიდა აპარის გუნდი, მესამეზე — აფხაზეთის მძლეოსანთა კოლექტივი.

სასამართლო

გამოუსწორებელნი

ქურდმა რეციდივისტებმა გ. კვაჭანტირაძემ, ს. გოგტიანმა, შ. გატიევმა და ვ. ვერშინინმა შარშან გაიცნეს ერთმანეთი. მანამდე თვითეული მათგანი „დამოუკიდებლად მოქმედებდა“, რისთვისაც რამდენჯერმე იყვნენ გასამართლებულნი.

ამჯერადაც მათ სასჯელი ახალი მოხდილი ჰქონდათ, მაგრამ მუშაობის ნაცვლად კვლავ ხელი მოჰკიდეს ბნელ საქმეებს. სულ მოკლე ხნის განმავლობაში მათ გაძარცვეს თბილისში ზ. ბ-შვილის ბინა, თბილკვებავაჭრობის მაღაზიის ფილიალი, რამდენიმე მოქალაქე, ტაქსის შოფერი. მიდიოდნენ „საგასტროლოდაც“ სტალინირში. ისინი დაესხნენ რკინიგზის სადგურის ბუფეტს და, სალაროში რომ ფული არ დახვდათ, ბუფეტის მუშაკები გაძარცვეს.

ბოროტმოქმედნი შეიპყრეს. მათი საქმე გაარჩია თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 1-ლი უბნის სასამართლომ ს. გაბელაიას თავმჯდომარეობით.

სასამართლომ ოთხივე რეციდივისტს გ. მ. კვაჭანტირაძეს, ს. ა. გოგტიანს, შ. ვ. გატიევს და ვ. ი. ვერშინინს მიუსაჯა თვითეულს 16 წლის პატიმრობა შრომა-გასწორების ბანაკში, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა.

ლექცია

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში 26 ივნისს, საღამოს 8 საათზე, შედგება ამხ. კ. სულეიმანის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 5 საბჭოვანი წლისა (1952 წლის გამოშვება)

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 1-ლი ტირაჟისა, რომელიც **შედგა ქ. ივანოვოში 1953 წლის 21 ივნისს.**

მოგება ხდება სესხის ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგება მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგება მანეთობით
120157	20*)	1.000	129987	1—50	200
120161	08*)	1.000	130022	48*)	1.000
120226	29*)	1.000	130155	39*)	1.000
120293	1—50	200	130184	1—50	500
120542	04*)	1.000	130199	1—50	200
120558	24*)	1.000	130286	12*)	5.000
120571	1—50	500	130367	1—50	200
120671	1—50	200	130460	1—50	200
120753	08*)	1.000	130489	13*)	1.000
120956	23*)	1.000	130573	39*)	1.000
120986	08*)	1.000	130918	1—50	200
121268	21*)	10.000	131053	02*)	5.000
121336	1—50	200	131129	40*)	1.000
121362	38*)	1.000	131250	50*)	1.000
121419	46*)	1.000	131296	12*)	1.000
121537	25*)	1.000	131327	12*)	1.000
121547	49*)	1.000	131355	26*)	1.000
121636	35*)	1.000	131602	1—50	200
121652	25*)	1.000	131655	15*)	5.000
122043	29*)	1.000	131702	47*)	1.000
122215	1—50	500	131709	1—50	200
122258	1—50	500	131753	01*)	1.000
122310	11*)	1.000	131776	1—50	200
122501	49*)	1.000	131809	40*)	1.000
122938	1—50	200	132156	1—50	500
123125	1—50	200	132267	27*)	1.000
123144	26*)	1.000	132353	1—50	500
123243	16*)	1.000	132499	28*)	10.000
123344	16*)	1.000	132530	31*)	1.000
123411	02*)	5.000	132582	36*)	1.000
123440	1—50	200	132595	36*)	5.000
123517	1—50	500	132668	09*)	1.000
123622	04*)	1.000	132721	34*)	1.000
123697	1—50	200	133326	02*)	1.000
123732	39*)	1.000	133479	1—50	200
123739	1—50	200	133685	02*)	5.000
123808	1—50	500	133749	1—50	200
123906	44*)	1.000	133811	1—50	200
124073	01*)	1.000	133951	20*)	1.000
124482	45*)	5.000	133953	1—50	200
124668	22*)	1.000	134164	22*)	1.000
124673	1—50	200	134338	33*)	1.000
124790	05*)	1.000	134664	1—50	200
124868	34*)	1.000	134673	38*)	1.000
124983	1—50	200	134890	01*)	1.000
125042	12*)	1.000	135005	47*)	5.000
125064	25*)	1.000	135013	35*)	1.000
125074	1—50	500	135127	39*)	1.000
125327	1—50	500	135265	24*)	1.000
125338	30*)	1.000	135288	1—50	200
125436	1—50	200	135420	34*)	1.000
125713	07*)	1.000	135449	1—50	500
125720	1—50	500	135554	11*)	1.000
125743	45*)	1.000	135590	1—50	200
125823	1—50	200	135737	38*)	1.000
125864	1—50	200	135755	40*)	10.000
126176	1—50	500	135918	1—50	500
126221	1—50	500	136325	21*)	1.000
126475	1—50	200	136746	40*)	1.000
126639	30*)	1.000	136871	12*)	25.000
126648	1—50	200	136959	18*)	1.000
126695	06*)	1.000	137140	33*)	1.000
126696	50*)	1.000	137158	1—50	200
127091	1—50	500	137172	30*)	1.000
127134	1—50	200	137305	1—50	200
127358	17*)	1.000	137353	17*)	1.000
127383	43*)	10.000	137468	29*)	1.000
127421	1—50	200	137574	1—50	200
127710	1—50	200	137649	1—50	200
127747	1—50	500	137675	42*)	1.000
127858	02*)	1.000	137757	50*)	1.000
127917	29*)	1.000	137771	25*)	1.000
127924	17*)	5.000	137779	03*)	1.000
128003	35*)	1.000	137837	39*)	1.000
128072	08*)	1.000	138002	1—50	200
128141	1—50	200	138069	40*)	1.000
128369	05*)	1.000	138128	1—50	200
128378	14*)	1.000	138253	16*)	1.000
128585	27*)	1.000	138301	44*)	1.000
128674	38*)	1.000	138318	1—50	200
128886	22*)	1.000	138387	01*)	1.000
128930	1—50	200	138750	1—50	200
129249	25*)	1.000	138935	16*)	1.000
129376	1—50	500	139003	01*)	5.000
129435	07*)	10.000	139167	33*)	1.000
129484	1—50	500	139190	41*)	1.000
129490	02*)	1.000	139338	21*)	1.000
129528	1—50	200	139371	34*)	1.000
129672	07*)	1.000	139799	27*)	1.000
129709	1—50	200	139962	26*)	1.000
129748	1—50	500	139978	1—50	200

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 200 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ივანოვოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

შ. ვ. კაზნოვი,

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი საფინანსო სამსახურის მრჩეველი

ლ. ა. ვასილიევა.